№ 77 მთავრობის მოამგე უოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სამშაბათი, 6 აპრილი 192 წ

მთავრობის მოამგე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება წელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 70 მან., ცალკე ნომერი უველგან 3 მან. განცხადების ფასი პირველ გვ. პეტიტის სტრიქონი ტექსტის წინ 4 მან. მე-4 გვ. 3 მ. 50 კ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 140 მ. 1 იანვ. გაზეთი ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარ ონის ქ. № 6. ტელეფონი 1—82.

საქართველოს

ცენტრობანკი

ტფილისი, თავისუფლების მოედანი (ყოფ. ერევნის) № 3 საკრედიტო საზოგადოების სახლი, ტელეფ. 3—46).

ძირითადი კაპიტალი 30,000,000 მანეთი.

ხსნის თავის მოქმედებას და კომერციულ ბანკების ყველა ოპერაციებს. იღებს შესანახად შეტანილ ფულს ვადით და უვადოთ, უბრალოდ და პირობით მიმდინარე ანგარიშებს, ბონებს და უცხო ვალიუტას და იძლევა მათ დაუყონებლივ პირველ მოთხოვნილებისთანავე. იღებს და იძლევა გადასაგზავნ ფულს და აკრედიტივებს საქართველოს ყველა ქალაქებისა და უცხოეთისთვის. ყიდულობს და ყიდის მონდობილობებით უცხოეთის ვალიუტას. ანაღლდებს ფასიან ქაღალდებს, ვექსილებს სავაჭრო ვალდებულებათა და სხ.

406 2—1

ცენტრ. ბანკთან არის ფოლად გაკრული საწყობები.

გულ მოკლულნი: დედა აგრაფინა იოსების ასული, მამა მელქისადეგ მიხეილის ძე კედიები, ძმა მიშა, ბებიები ოლღა და მატა, ბიცოლა ქენია, ბიძები: ვალერიანი და ნიკო ყიფიანები აუწყებენ ნათესავთა დ ნაცნობთ მათთვის უსაყვარლეს დ დაუვიწყარ

ვენერა კედიას

გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება ბინიდან, პეტრე დიდის ქუჩა № 11 და დასაფლავება ვერის სასაფლაოზე მოხდება დღეს, საღამოს 6 საათზე. 653

სახელმწიფო თეატრი

ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

დღეს, აპრილის 6-ს „სინათლე“.

აპრილის 7 გ. ტაბიძის საღამო. აპრილის 8-ს მ. ნანობაშვილის (მიშელ დარიალის) გასტროლთ „ურიის ქალი“. აპრილის 9,ს. დევდარიანის ლექცია.

ოფიციალური განყოფილება

კანონი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.

1. დამტკიცებულ იქნეს 1919 წლის ნოემბრის 1-დან შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა თანახმად ამ კანონთან დართული მუხლისა.

2. პირველ მუხლში აღნიშნული საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წ. ივნისის 1-მდე ერთი მილიონი ას ოცდა თვრამეტი ათას ხუთას ორმოცდა ათი (1.138.550) მანეთი.

3. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ არ იქნეს დამფუძნებული კრების 1919 წლის მაისის 20-ს, აგვისტოს 2-ს და დეკემბრის 2-ს დეკრეტების მოქმედება.

4. გავრცელებულ იქნეს ამ კანონში აღნიშნულ შტატზე დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10-ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

5. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. მარტის 30.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი
ექვთიმე თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისა 1919 წლის ნოემბრის 1-დან 1920 წლის ივნისის 1-დე.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამ. პირ. რიცხ.	თვითო ჯამაგირი თითეულს.	ყველას თვეში.	ყველას 1919 წ. ნოემბრ. 1-დან 1920 წ. ივნისის 1-დე.	შენიშვნა.
1	კანცელარიის დირექტორი	1	5000	5000	35000	
2	ვიცე-დირექტორი	1	4500	4500	31500	
3	საგანგებო მინდობილ. მოხელე	1	4000	4000	14000	
4	იურის კონსულტი	1	2000	2000	140000	
5	განყოფილების უფროსი	5	4000	20000		
6	მდივანი იგივე საგანგებო მინდობილობის მოხელე	1	4000	4000	28000	
7	საქმის მწარმოებელი	7	2000	14000	98000	
8	საქმის მწარმოებლის თანაშემწე	6	1500	9000	63000	
9	ბუხჰალტერი	1	2500	2500	17500	
10	ბუხჰალტრის თანაშემწე	2	2000	4000	28000	
11	მოანგარიშე	3	1800	5400	37800	
12	კანცელარიის მოხელე	24	1300	31200	218400	
13	მანქანით გადამწერი	9	1300	11700	81900	
14	რეგისტრატურის გამგე	1	1500	1500	10900	
15	ეგზეკუტორი	1	1700	1700	11900	
16	თარჯიმანი	2	1500	3000	21000	
17	შიკრიკი	9	1225	11025	77175	
	ჯამი	75	—	134525	941675	
	საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი				196875	
	სულ				1138550	

1920 წ. მარტის 30-ს.
დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი
ექვთიმე თაყაიშვილი.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ფოთის სახელმწიფო სკოლის შტატი.

№№ რიგზე.	თანამდებობის პირნი.	მოსამსახურეთა რაოდენობა.	გაკვეთილებ. რიცხვი.	წლიური ჯილდო. ჯამაგირი.	ბინის ჭირა	წ ლ ი ს
1	სკოლის გამგე	1	—	—		—
	გამგებლობისათვის	—	—	5700		—
	12 გაკვეთილისათვის	—	12	4800	ბინა	10500*)
2	პრაქტიკული მეცადინეობის ხელმძღვანელი, იგივე სკოლის გამგის თანაშემწე, თანამდობისა და 25 გაკვეთილისათვის	—	24	10100	ბინა	10100**)
	მასწავლებელნი:					
3	ზოგადი განათლების საგნებისა	1	24	—		7220
4	სპეციალი საგნებისა	1	26	—		10900
5	კლასის დამრიგებლობისა	4	—	1800		7200
6	ოსტატები	3	—	7200		21600
7	უროს მცემელი	1	—	—		5700
8	ექიმი	1	—	2400		—
	1 გაკვეთილისათვის	—	1	350		2750
9	საქმის მწარმოებელი იგივე მოანგარიშე	1	—	—		6000
10	დარაჯი	2	—	1800		3600
11	პედაგოგიური საბჭოს მდივანი	1	—	—		480
12	ბიბლიოთეკის გამგე	1	—	—		480
13	წერით სავარჯიშოს გასასწორებელი	—	4	—		1120
14	საკანცელარიო ხარჯი	—	—	—		1500
15	ხელსაწყოთა და მასალების შესაძენად	—	—	—		20000
16	ბიბლიოთეკის შევსება და სასწავლო ნივთ. შესაძენად	—	—	—		4000
17	შენობის შენახვა, გათბობა-განათება	—	—	—		12000
18	საოჯახო ხარჯი	—	—	—		6000
	წლიურად	—	—	—	—	131150

ხოლო შვიდ თვეში 1919 წ. ნოემბრის 1-დან 1920 წ. ივნისის 1-დე . . 76504მ. 12 კ.

შენიშვნა: *) ანგარიში შედგენილია საშუალო განათლების მიხედვით.

**) გარდა ამ საერთო ძირითადი თანხისა სახელმწიფო ხაზინიდან ყოველწლიურად გაღებულ უნდა იქნეს ხუთწლეულები.

1920 წ. მარტის 5.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.
რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

განკარგულებანი.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარისა.

30 მარტი, 1920 წ., № 5.

1 განთავისუფლებულია თანამდებობისა და სრულიად სამსახურისაგან, მისივე თხოვნის თანახმად, დამფუძნებელი კრების კანცელარიის მანქანით გადამწერი მარიამ სიდომონ-ერისთავისა ამა მარტის 15-დან.

II. მიღებულნი არიან დამფუძნებელი კრების კანცელარიის სამსახურში და განწესებულ იქნეს უმცროსი კატეგორიის მანქანით გადამწერის თანამდებობაზე—ნინო ბარათაშვილის ასული და სოფიო ჭურციკიძის ასული—ამა მარტის 15-დან.

III. უმცროსი კატეგორიის მანქანით გადამწერი ანნა ჩხაიძის ასული გადარიცხულ იქნას უფროსი კატეგორიის მანქანით გადამწერის თანამდებობაზე—ამა მარტის 15-დან.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხ. ალ. ლომთათიძე.

—

შინაგან საქმეთა მინისტრის.

1 აპრილი 1920 წ. № 1.

დანიშნულნი არიან: ყოფილი ტფილისის ტოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი დიმიტრი მგელაძე, მისი თანაშემწე ვიქტორ შალიკიანი: მთავარ-მექანიკოსი ბარნაბ სურგულაძე და საქმის-მწარმოებელი ალექსანდრე თულაშვილი; მგელაძე საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოს უფროსათ, შალიკიანი მის თანაშემწეთ, სურგულაძე მთავარ მექანიკოსათ და თულაშვილი იმავე სამმართველოს კანცელარიის მმართველათ; ყველანი პირველ იანვრიდან 1920 წლისა.

შინ. საქ. მინისტრი ნ. რამიშვილი.

—

მთავრობის საქმეთა სამმართველოსი.

2 აპრილი 1920 წ. № 13.

ვასილ გიორგის ძე საბიაშვილი დაინიშნოს მთავრობის საქმეთა მმართველობის რეგისტრატორად ა. წ. 20 მარტიდან.

მთავრობის საქმეთა მმართველი ჯაფარიძე.

—

შეცდომის გასწორება:

გაზ. „საქ. რესპ.“ № 75-ში დაბეჭდილია: ინსტრუქცია ფოთში შემოსულ გემების შავიქვით დატვირთვისა, უნდა იყოს: ფოთში შემოსულ გემების ქვანახშირით დატვირთვისა.

სავალდებულო დადგენილება

თანახმათ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 1 აპრილის სხდომის დადგენილებისა, ვაცხადებ:

1. საკანდიტეროებისა და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა პატრონებს სასტიკათ ეკრძალებათ საკანდიტეროებში და სხვა სავაჭრო დაწესებულებებში ყოველგვარი ტკბილეულობის გამოცხობა, გარდა სუხარისა და ბულკისა.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

3. ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით: ჯარიმით 25.000 მანეთამდე, ან ციხეში დაპატიმრებით სამი თვის ვადით.

შინაგან საქმეთა

მინისტრი **რამიშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

მთავრობამ 30 მარტის სხდომაზე შემდეგი პროექტი დაამტკიცა აბრეშუმის პარკის, თამბაქოსა და მატყლის მწარმოებელთათვის დახმარების აღმოსაჩენად და მათთან შეთანხმებით ამა ნაწარმოების გაყიდვისა:

1. გადაიდოს პირველ ხანებში მომარაგების სამინისტროს განკარგულებაში არსებულ თანხიდან (7500000) სამოცდა თუთხმეტი მილიონი მანეთი აბრეშუმის პარკის, თამბაქოს და მატყლის მწარმოებელთათვის სესხის მისაცემად.

2. სესხი მიეცემა როგორც კერძო მეურნეთა კავშირებს.

3. სესხი მიეცემა მომარაგების სამინისტროს მიერ უშუალოდ ან სახელმწიფო კერძო და კოოპერატიულ ბანკების და საზოგადოებრივ დაწესებულებათა საშუალებით.

4. მეურნე, რომელიც სესხს მიიღებს პირველ მუხლში აღნიშნული ნაწარმოების მთელ მოსავალს აბარებს მთავრობას.

5. მთავრობა ნაწილს მეოთხე მუხლში აღნიშნულ ნაწარმოებისას ყიდის ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, დანარჩენს უცხოეთში.

შენიშვნა: ამ მუხლში აღნიშნულ ნაწარმოებს ანაწილებს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათ-მოქმედების და მომარაგების სამინისტროს, სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მწარმოებელთა წარმომადგენელთაგან შემდგარი კომისია. მწარმოებელთა წარმომადგენელს ნიშნავს ან კავშირი მეურნეთა ან სამაზრო ერობის გამგეობა, სადაც კავშირი არ არსებობს.

მთავრობისთვის გადაცემულ საქონელში მწარმოებელი მიიღებს საქონლის თვით ღირებულებას, და წმინდა მოგებიდან 30—50 პროცენტამდის, ნაწარმოების ხასიათის მიხედვით, რაიცა ცალკე დადგენილებით უნდა აღინუსხოს.

შენიშვნა: 1. თვითღირებულება საქონლისა გამოკვლეულ იქნება კომისიის მიერ, რომელიც უნდა შესდგეს ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათ-მოქმედების და მომარაგების სამინისტროსა, ერობათა და მწარმოებელთა წარმომადგენელთაგან.

შენიშვნა: 2. წმინდა მოგებათ ითვლება საქონლის გაყიდვიდან აღებულ ფასი, თვითღირებულებისა და ყველა ხარჯების გამოკლებით.

უცხოეთის ვალიუტა გადადის მთავრობის განკარგულებაში შეთანხმებით.

შინაგან საქმ. სამინისტროში

განკარგულება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ განკარგულება გასცა ახალქალაქის მაზრის მილიციის უფროსისადმი რათა მიღებულ იქნას ზომები კუმორდოს ეკლესიის ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ განადგურების წინააღმდეგ.

სატელეფონო მახალების დამზადება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებული ცნობებით ახალ ხიბულის, (ზუგდიდის მაზრა), მცხოვრებთ დაუდგენიათ: 1) უსასყიდლოთ დაამზადოს ადგილობრივათ ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის გასამართავად საჭირო ბოძები და ბიჯგები, 2) უსასყიდლოთ დაუთმოს ოთხთვალიანი სახლი გათბობა-განათებით და დარაჯით სამი წლის ვადით, 3) ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის ბინის მოსაწყობათ და ავეჯეულობის შესაძენათ გადადებულ იქმნას 2500 მან. ერთდროულათ, ხოლო ტელეფონის სარგებლობისათვის 500 მან. ყოველ წლიურათ.

პირველ მუხლში მოხსენებული ბოძები და ბიჯგები უკვე დაუმზადებიათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს მოახდინოს განკარგულება ამ საქმის მოსაგვარებლათ.

გზა-ტკეცილის გაფუჭება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ცნობა მიიღო, რომ მე-28-ვერსზე მანგლისის მიმართულებით გზა-ტკეცილი გაფუჭებულია, რის გამო ავტომობილებით ფოსტის მიმოზიდვა შეწყვეტილა. სამინისტრომ წინადადება მისცა გზა-ტკეცილის ოლქის სამმართველოს მიღებული იქნას ზომები გზის შესაკეთებლათ.

ქვეშევრდომობა.

სოფელ ჯუჯაკენტის, ნეიტრალური ზონა, მცხოვრებლების რწმუნებულებმა შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა აღნიშნული სოფლის მცხოვრებნი მიღებული იქმნან საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომებათ.

სესხი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა ქალაქ ქუთაისს მიეცეს გრძელ ვადიანი სესხი 6,000,000 მანეთი.

შუამდგომლობა.

გორის ორგანიზაციების და ერობის დელეგაციამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა:

1) დაჩქარდეს გეოლოგიური გამოკვლევა და საბოლოო დასკვნის გამოტანა გორის ნაადაგის შესახებ.

2) დაჩქარდეს გეგმის შემუშავება შენობების სასურველ ტიპისა.

3) დაარსდეს ადგილობრივ სრულ-უფლებიანი გორის აღმდგენი კომიტეტი, რომელიც შეაერთებს მთავრობისა და ადგილობრივ ძალთა მთელ მუშაობას გორისა და ქართლის დაზარალებულ სოფლების აღსადგენათ. ამ კომიტეტში უნდა შედიოდეს ერთი წარმომადგენელი მთავრობისა, ორი სამაზრო ერობისა, ერთი გორის თვითმმართველობისა, ერთი გორელ მემამულეთა კავშირი „პატრონისა“ და უმამულო გორელთა კავშირისა.

4) გაეხსნას ამ თავითვე ზემოხსენებულ კომიტეტს სახელმწიფო ბანკიდან კრედიტი გორის დაწესებულებათა და მსახურთა ბინების ასაგებათ და საკმარისი ტექნიკური პერსონალიც დაინიშნოს მის განკარგულებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო შესაფერ მოხსენებას უდგენს მთავრობას ამის შესახებ.

სიმინდის რეკვიზიცია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო-განყოფილებამ ცნობა მიიღო, რომ ქუთაისის მაზრის ამაღლების თემის გამგეობა: მიუხედავათ სამაზრო ერობის გაფრთხილებისა, შესდგომია მცხოვრებთა ბეღლების დაბეჭდვას. გამგეობა ახდენს რეკვიზიციას, ფშვნის სიმინდს და მეპატრონეს აძლევს 250 მანეთს ფუთზე. სულზედ უტოვებს მხოლოდ 3 ბათმანს თვეში.

რადგან ასეთი მოქმედება ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს, საერობო განყოფილებამ განკარგულება გასცა რათგანა შეჩერებულ იქნას ამგვარი მოქმედება.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მიმართვა მეაბრეშუმეებისადმი.

გაზეთებში უკვე დაიბეჭდა ცნობა, რომ მთავრობა მეაბრეშუმეებს აწვდის იაფ ფასათ სააბრეშუმო სადგურის მიერ შემოწმებულ საღ თესლს.

მალე ჰაის გამოყვანის დროც დადგება. მეაბრეშუმეები მომზადებულნი უნდა შეხვდნენ ამ დროს.

მეაბრეშუმეობა ჩვენში სახალხო მეურნეობის ერთი თვალსაჩინო დარგია. მარტო ქუთაისის გუბერნიას ყოველწლით ასი ათას ფუთობით ნედლი პარკი მოყავდა. საქმე თან და თან ვითარდებოდა, მაგრამ ომისა და შემდეგ რევოლიუციის დროს მეაბრეშუმეობა ჩვენში საგრძნობლათ შეფერხდა. შარშან საქართველოში მარტო 20—25 ათასი კოლოფი თესლი გასაღდა, როცა წინეთ 80—100 ათასი კოლოფი ვრცელდებოდა. ჩვენ ყოველივე საშუალება უნდა ვიღონოთ და მეურნეობის ეს დარგი დღესვე გამოვაბრუნოთ, ფეხზე დავაყენოთ. ეს შედარებით ადვილი საქმეა. ჰაის საკვები მასალა თითქმის ყველგან საკმაოთ მოიპოვება და ჩვენი სოფლის მცხოვრებთ აქვთ ამ საქმისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება.

საქართველო დღეს საშინელ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისს განიცდის. სასოფლო მეურნეობა დაქვეითებულია, ისედაც სუსტი მრეწველობა შეჩერებული, ფულის კურსი დღითი-დღე ეცემა, მუშისა და მოსამსახურის მდგომარეობა თან და თან უარესდება. მთელი ხალხი გაჭირვებულია პირველ საჭიროების საგნების უქონლობის გამო. მხოლოდ ერთად ერთი სპეკულიანტთა მცირე ჯგუფი ნეტარებს. ქვეყანა დიდ ხანს ვერ იარსებებს ასეთ მდგომარეობაში. საჭიროა აქედან გამოსავალი გზა მოვნახოთ.

ჩვენი თავი და თავი უბედურება ქვეყნის ეკონომიურ ჩამორჩენაშია. სხვილი მრეწველობა ვვენში არ არსებობს. საფაბრიკო და საქარხნო ნაწარმოები თითქმის მთლად უცხოეთიდან შემოგვქონდა, ჩვენი მოთხოვნილების ცხრა მეათედს ამ საგნებში უცხოეთის მრეწველობა აკმაყოფილებდა.

როგორც წინეთ, დღესაც ყოველივე ეს უცხო ქვეყნებიდან უნდა მივიღოთ, ვინაიდან ადგილობრივი მრეწველობის გაჩაღება, ნედლი მასალის აქვე გადამუშავება ერთისა და ორი დღის საქმე არ არის. ხალხს კი დღესვე ესაჭიროება ჩაცმა-დახურვა, წამალი, სამეურნეო იარაღები და სხვა. ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ისეთი სიმდიდრის შექმნაზე, რომელსაც უცხოეთში დიდი გასავალი აქვს და სამაგიეროთ იქიდან მივიღოთ ჩვენთვის საჭირო საქონელი.

სწორეთ ერთი ასეთი საგანია აბრეშუმის პარკი. მაზე დღეს დიდი მოთხოვნილებაა. მისი უპირატესობა, როგორც გისატანი საქონლისა, კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ის მალე მზადდება და მაშასადამე, უცხოეთში მალე გაიტანება და ოქროთ იქცევა. რასაც მეტს დავამუშავებთ ჩვენ ასეთ სიმდიდრეს, მით მეტ სამაგიერო საქონელს მივიღებთ უცხოეთიდან, მით უფრო—გამოსწორდება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, გაუმჯობესდება ჩვენი ფულის კურსი.

ჩვენი ხსნა დღეს სწორედ ასეთ აზრიან და მიზან შეწონილ შრომასა და სამეურნეო მოღვაწეობაშია. თითეული პარკი გლეხის ოჯახში დამზადებული, თითოეულ ფურცელი თამბაქოსა ნივთიერად აღორძიებს არა მარტო იმას, ვინც ის მოიყვანა და დაამზადა, არამედ ამავრებს ეკონომიურათ ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ქვეყანას.

მთავრობამ ეს გაითვალისწინა, როცა უცხოეთში დროზე შეიძინა ჰაის თესლი, შეამოწმა, გაამზადა და სოფლებში დაგზავნა.

ეხლა მეაბრეშუმეთა ვალია მთელი თავის ენერგიით მოკიდონ ხელი ამ საქმეს. არც ერთმა ოჯახმა, რომელსაც ჰაის საკვები (თუთა—ბეღლა) მოეპოება, არ უნდა აარიდოს თავი აბრეშუმის ჰაის დასმას. არც ერთი კოლოფი თესლი ტყვილა არ უნდა გაცდეს. ერობებმა, კოოპერატივებმა, კერძო პირებმა უნდა შეაგნებინოთ ყველას ამ საქმის დიდი მნიშვნელობა, როგორც პირადათ თითოეულისათვის, ისე მთელ ქვეყნისათვის. ვინც ამას არ იზამს, ის დამნაშავეა ქვეყნის წინაშე, მტერია, როგორც თავისი თავის, ისე მთელი ხალხის.

შრომა და ნაშრომის გამრავლება-აი რა გვისხნის ჩვენ გაჭირვებისაგან.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება რესპუბლიკის და თავისუფლების გამტკიცება.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

ნ. ხომერიკი.

უცხოეთი

შვეციის ახალი კაბინეტი.

სტოკჰოლმიდან იტყობინებიან, რომ შვეციის სოციალისტების ბელადმა ბრანტინგმა მიიღო ახალ კაბინეტის შედგენის წინადადება. ახალ კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ შემდეგი პირნი: პრემიერ-მინისტრი-ბრანტინგი; გარეშე საქ. მინისტრი-ბარონ პოლ მარტიერნა; იუსტიციის მინისტრი-უნდენი, სამხედრო-განსონი, შინაგან საქმეთა-სვენსონი, ფინანსთა—ტფორსონი, განათლების-ოლსონი; მიწად-მოქმედების-ნილსონი.

იაპონიის საზავო მოლაპარაკება ბალშევიკებთან.

ტოკიოდან იტყობინებიან: ჩიჩერინთან იაპონიას საზავო მოლაპარაკება აქვს. ჩიჩერინს, სხვათა შორის, განუცხადებია შემდეგი: „საბჭოთა მთავრობას არავითარი სურვილი არა აქვს რომ ჩაერიოს იაპონიის შინაურ საქმეებში. კარგად გრძნობს იაპონიის ინტერესებს შორეულ აღმოსავლეთში. საბჭოთა მთავრობა მომხრეა იმის, რომ მის და იაპონიის შორის დამყარდეს იმისთანა მტკიცე ურთიერთობა, რომელიც მოუტანს ორივე ქვეყანას მეგობრულ კავშირს. რუსეთს სჯერა, რომ იაპონიასთან ის შეთანხმდება ყოველივე რუთულ პოლიტიკურ საკითხებში.

პრუსიის კონსტიტუცია.

პრუსიის კონსტიტუციის პროექტი შეტანილია განსახილველად ეროვნულ საბჭოში. პროექტის მიზანი არის პრუსიის რესპუბლიკა შევიდეს გერმანიის იმპერიის წევრად. ხალხმა უნდა გამოსთქვას თავისი სურვილი სეიმის საშუალებით. სეიმი შეიკრიფება 4 წლით. არჩევნების შემდეგ კაბინეთს შეუძლიან სეიმის დათხოვნა. სეიმის პრეზიდენტს ნიშნავს საბჭოს პრეზიდენტი. საბჭოს პრეზიდენტი იმუშავებს სახელმწიფოს პოლიტიკურ დირექტივებს.

ფულების რეკვიზიცია.

როსტოვში, ბოლშევიკების დეკრეტით, ყველა ბანკებიდან წვრილმანი თანხები ცენტრალ ბანკში გადაუტანიათ, რის შემდეგაც ამ თავმოყრილ თანხების რეკვიზიცია მოუხდენიათ ბალშევიკებს. („მაიაკ“ № 439).

საქართველოში ფქვილის გაგზავნისათვის.

შავიზღვის მხრის სამხედრო გუბერნატორის დადგენილების (1919 წ. 22 ივლისის თარიღით № 46) დარღვევისათვის, რომელიც ნოვოროსიის ქალაქის უფროსის მიერ 1920 წ. იანვრის 31 თარიღით გამოაცხადა, ხუთასი თუმნით დააჯარიმეს შარკერი ეგორ სალოკი და თომა სიდოროპულო საქართველოში ფქვილის გაგზავნისათვის. („ველიკოროსია“).

ბოლშევიკების „მოღვაწეობა“.

ყუბანის ოლქის, ეკატერინოდარის მაზრა უსპენსკში ეტანიცაში ბოლშევიკებს გლეხობა პურ-მარილით მიეგება. იმავე საღამოთი ბალშევიკებმა მაინც დახვრიტეს ამ სოფლის 50 გლეხი. 4 მათგანს ტყავი გააძრეს. („ველიკოროსია“ № 408).

ყუბანის ოლქის ნოვოპოკროვსკის სტანიცაში ბოლშევიკებმა ჩამოახრჩვეს 20 ყაზახი, უსპენსკის სტანიცაში—50; ნოვოროსიისკის სადგურზე 7 გატყავებულის გვამი გაატარეს (ვეჩერ. ვრემია“ № 475).

სანოვაგის ფასი.

წელს თებერვალში როსტოვის ბაზარზე შემდეგი ფასები იყო: პური გირვ.—10—12 მან. ბულკი—30—35 მ. ხორცი—70—80 მან. რძე ერთი კვარტი—210—220 მ. საქმელი ზეთი—400 მან. შაქრის ფხვნილი 500 მან. მარილი 150 მან. („ველიკ. როსია“ № 408).

ფულის კურსი.

ნოვოროსიისკში ამ წლის თებერვალს შემდეგი კურსი იყო: გირვ. სტერლინგი—5800 მ. ფრანგული ფრანკი—180—185 მ. ოსმალური ლირა—1250 მან. იტალიის ლირა—140 მან. დოლარი— 1250 მ. გერმანული მარკა—48 მ. ავსტრიის კრონი—12 მან.

ჰაეროპლანების შეძენა.

პარიზში მყოფმა სომეხთა ერთმა ჯგუფმა 50000 ფრანკი შეაგროვა სომხეთისათვის ჰაეროპლანების შესაძენად.

აზერბეიჯანი.

აზერბეიჯანის მთავრობამ ინგლისსა და იტალიასთან ხელშეკრულება დასდო, რომლითაც ამ სახელმწიფოებს უფლება აქვთ აზერბეიჯანიდან გაიტანონ ყოველგვარი ნედლი მასალა, ბამბის გარდა, და სამაგიეროდ შემოიტანონ დამუშავებული საქონელი.

— ასეთივე ხელშეკრულების დადებას აპირებს იგი შვეიცარიასთან, რომელმაც აზერბეიჯანს უნდა მიაწოდოს ფართლეულობა.

— ვაჭრობა-მრეწველობისა და სასურსათო სამინისტრომ გადასწყვიტა განჯაში მოაწყოს საწყობები, სადაც მოათავსებენ ბათომში მყოფ საქონლის ნაწილს.

ბალშევიკებთან მოლაპარაკება.

აზერბეიჯანის მთავრობამ პეტროვსკში საგანგებო დელეგაცია გაგზავნა ბალშევიკებთან მეგობრულ დამოკიდებულების დასამყარებლად. მთავრობა ხელსაყრელ საღებ-მიცემო პირობებს სთავაზობს.

ასეთივე დელეგაცია იგზავნება მოსკოვშიაც. („ისკრა“).

ყარაბახი.

ახკერანის აღება.

სომეხთა შეიარაღებულ ძალების მიერ აღებულია ასკერანი, აზერბეიჯანის ჯარმა ისევ უკანვე დაიბრუნა. ჯარი მიიწევს წინ ხანკენდინსკის და შუშის მიმართულებით.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტოსაგან)

ბალშევიკური ცნობები

მოსკოვი, 1 აპრ. სამხედრო ცნობები. დასავლეთის ფრონტი. მოზირის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა მტერი გამორეკეს სოფ. სელიშჩედან და მიუახლოვდენ მდ. სვედს; ბრძოლა გრძელდება. ლეტივ-უშიცის რაიონში გრძელდება სასტიკი ომები ბერდიჩევ-შეპეტიოვის რკინის გზის სამხრეთითა და ქალ. უშიცის აღმოსავლეთით.

კავკასიის ფრონტი. მაიკოპის რაიონში ჩვენმა ჯარებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღო ხოდიჟევსკაია. დერბენტის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა აიღეს სად. მანასი და ისინი რკინის გზის მიმართულებით წინ მიიწევენ.

კიევი. სხვა და სხვა ადგილებიდან მოსულია ცნობები ბანდების მოქმედების შესახებ. ჩიგირინის მაზრაში წითელი დივიზიების მიერ განადგურებულ იქნა პეტლიურის მომხრე ჩუჩუპაკის ბუდე ბანდიტებისა. ჩუჩუპაკი თავისი შტაბით დახვრეტილ იქნა. ლიპოვეცის მაზრა თითქმის სრულებით გაწმენდილია ბანდიტებისაგან.

კიევი 27 მარტი. მდ. დნეპრზე ნავოსნობა განახლდა.

მოსკოვი 1. თეთრგვარდიელებმა ბატაისკში გამოგზავნეს დიდძალი მოწამლული ღვინო როსტოვში მომხდარ დარბევის დროს მოკლულია 700 კაცამდე. ფსკოვის ქალ. ეკლესიაში მოახდინეს ჩხრეკა. ლიუტერანთა ეკლესიაში დამალული აღმოჩნდა ორი ტელეფონი. მეორე ეკლესიაში ნახეს სურსათ სანოვაგე, ტანისამოსი, სპილენძისა და ვერცხლის ფულები და კერენსკის 10 ათასი მანეთი.

ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დენიკინისაგან მიიღო ცნობა, რომ მისმა მთავრობამ განაპირა სახელმწიფოთა აღიარება გადასწყვიტა. მაგრამ ამ ცნობამ ცოტათი დაიგვიანა, რადგან დენიკინი და მისი მთავრობა ახლა უკვე აღარ არსებობს და თვით მათ აღარავინ არა სცნობს.

ჩვენი სავაჭრო დელეგაცია კოპენჰაგენში ჩავიდა. დელეგაციის თავმჯდომარე კრასინი საქმეებისათვის სტოკჰოლმში დარჩა, მაგრამ კოპენჰაგენში იგიც წავა. რურის ოლქში საყოველთაო გაფიცვა მუშებისა და მთავრობის შეთანხმებით გათავდა. დროებით ხანის შესახებ დადებულ პირობის თანახმად გაანთავისუფლეს ყველა დატყვევებული მუშა და ნება მისცეს მუშათა არმიის შედგენისა, მექარხნეებს აუკრძალეს დაითხოვონ მუშები, რომლებიც მუშათა არმიაში იქნებიან.

კომუნისტთა პარტიის ყრილობა ადგილობრივ ორგანიზაციებს მოაგონებს, რადგანაც რკინის გზებზე სატრანსპორტო სამუშაოთა დანიშნულ ხუთი ათასი კომუნისტის კომპლექტი შევსებული არ არის, ამიტომ საჭიროა ეს საქმე ამ ორ კვირაში მოწესრიგებული იქნეს. პარტიულმა კომიტეტებმა გზათა მთავარ კომიტეტების განკარგულებაში უნდა მისცეს საუკეთესო მომუშავენი და ყოველგვარი ღონით დაეხმარონ გზათა მთავარ კომიტეტსა და მის ადგილობრივ ორგანოებს რკინის გზაზე ტრანსპორტის საქმის გასაუმჯობესლათ.

კავკასიის ფრონტი. შავი ზღვის ნაპირზე ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს ტუაპსეს ჩრდილო-დასავლეთით 10 ვერსზე მდებარე ნებუსგაიზე. მაიკოპის რაიონში ჩვენი ნაწილები ტუაპსის რკინის გზის მიმართულებით უკან დახეულ მტერს სდევნის. პეტროვსკის რაიონში ჩვენ დავიკავეთ ბიუნატი როდელიც პეტროვსკიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 ვერსზე მდებარეობს.

აღმოსავლეთის ფრონტი. ჩუვუჩაკის მიმართულებით ჩვენი ჯარები ჩინეთის საზღვრების გასწვრივ ყარაულობას ეწევიან

მოსკოვი, აპრ. 3. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განუცხადა საბჭოთა რუსეთს, რომ პოლონეთს მიზნათ აქვს სამხედრო მოქმედების შეწყვეტა საზავო მოლაპარაკების დროს და წინადადებას იძლევა, რომ სამხედრო მოქმედება შეაჩერონ მხოლოდ ბორისოვის ფრონტზე, სადაც უნდა დაიწყოს საზავო მოლაპარაკება. ჩიჩერინი მიუღებლად სთვლის, რომ საზავო მოლაპარაკება დაიწყოს სამხედრო მოქმედების ცენტრში და მთელ პასუხისმგებლობას პოლონეთის მთავრობას ადებს. ჩიჩერინი წინადადებას აძლევს მათ, რომ საზავო მოსალაპარაკებლად დანიშნონ პეტროგრადი, მოსკოვი ან ვარშავა იმ პირობით, რომ ორივე მხარეს საშუალება მიეცეს ისარგებლოს ტელეგრაფით და უზრუველყოფილი იყოს კორესპონდენციის საიდუმლოება. დენიკინი მოლაპარაკებას აწყარმოებს საქართველოსთან, სომხეთთან და ადერბეიჯანთან, რომ მათ გაუშვან თეთრგვარდიელები, რომელთაც უკან დასახევი ადგილი აღარა აქვთ. დენიკინის ჯარები ჯერ-ჯერობით ყირიმში მიდის.

საზღვარ - გარეთ.

მთავრობის ჯარები ესენში მუშებს მძიმე არტილერიით ესვრიან. წითლები საშინელ ხელჩართულ ბრძოლაში გადავიდენ. საფრანგეთში ყოველგან გაფიცვები იწყება. პროფ. კავშირთა საბჭო საყოველთაო გაფიცვას ამზადებს. მუშაობა შესწყდა საქსოვ ქარხნებში, გაფიცულნი არიან მემაღაროვენი და მელითონენი.

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: სალიფაშას კაბინეთი ოფიციალურად გადადგა. ფიქრობენ, რომ ახალი კაბინეთის შედგენას მიანდობს ტეფტიკ-ფაშას ან დასად-ფერიდ-ფაშას.

სხვა და სხვა

✦ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია ლანჩხუთიდან 5 აპრილს დაბრუნდა ტფილისში.

✦ გუშინ უნდა გახსნილიყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენელთა კონფერენცია. კონფერენციაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ: ერევნიდან სომხეთის დელეგაცია. დელეგაციაში არიან: გარეშე საქმეთა მინისტრი ოჰანჯანიანი, მამიკონიანი, ხაჩატურიანი და ბეკზადიანი. აზერბაიჯანის დელეგაციას გუშინ მოელოდენ.

✦ სახაზინო რკინის გზის უფროსმა ფოთში გაგზავნა ინჟინერი კაპანაძე რკინის გზის მასალების მისაღებად.

✦ ქალაქთა კავშირმა დედობათა და ბავშვობის საზოგადოებას მედიკამენტების შესაძენად შესწირა 2500 მანეთი.

✦ წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა კრება მოხდება მაისის დამლევის რიცხვებში.

✦ დამფუძნებ. კრ. განათლების კომისიამ განიხილა და მოიწონა განათლების მინისტრის პროექტი ჭ. შ. წ. კ. საზოგადოებისათვის სახელმწიფო ფონდიდან 5 მილიონ მანეთის სესხად მიცემის შესახებ.

✦ ამჟამად ქ. ბორჯომში გადმოტანილია პოლტავის ქალთა ინსტიტუტი რომლის ევაკუაცია მოხდა უკანასკნელ ხანებში.

✦ სათბობ მასალის უქონლობის გამო, ქალაქთა გამგეობამ ბრძანება გასცა რათა ყველა დაწესებულებაში და გასართობ ადგილებში სინათლის ეკონომია იხმარონ.

✦ ლორზე დაწესებულია შემდეგი ნიხრი: შებოლილი ლორი წინა ბარკალი—45 მან. გირ., უკანა ბარკალი—50 მან. გირ., ბეჭი—55 მან. გირ., მოხარშული უკანა ბარკალი და ბეჭი კარგი ხარისხის 65 მან. გირ., დანარჩენ ხარისხის ლორი არა უმეტეს 60 მანეთისა გირ. ბითუმად 2 მანეთით ნაკლებ გირვანქაზე ყველა ხარისხის ლორზე. მოხარშულ ვიჩინაზედ უძვლოთ ნიხრი არ არსებობს.

✦ ევროპიდან ტფილისში დაბრუნდა ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა თავმჯდომარე ევგენი დარჩია, რომელიც გაგზავნილი იყო საქონლის მოსატანად. დარჩიას კოოპერატივთა კავშირისთვის დიდ ძალი ფართლეულობა შეუძენია.

ხელოვნება.

ქართველ მწერალთა ყრილობა

კვირას მარტის 4-ს ქართულ კლუბში შესდგა ქართველ მწერალთა მეორე ყრილობა. ყრილობას ბევრი ქართველი მწერლები დაესწრნენ. დღიურ წესრიგში დასმული იყო საკითხები 1) ახალი წევრების მიღება, 2) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ, 3) ანგარიშები, 4) წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა. (მიმდინარე საკითხები, 6) საბჭოს წევრთა არჩევნები. დამტკიცებულ იქნა ახალი წევრთა სია.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ივ. გომართელი, დ. მეგრელი, ჰ. მირიანაშვილი; მდივნებათ ნიკ. მიწიშვილი და რ. ბებიაშვილი. ივ. გომართელი მიესალმა კრებას, აღნიშნა ხელოვნების მნიშვნელობა განახლებულ საქართველოში, და მოუწოდა დამსწრეთ ფეზზე ადგომით პატივი ეცათ გარდაცვალებულ მწერალთათვის. საპატიო თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია. მოხსენება საბჭოს მოქ. მედების შესახებ გააკეთა კ. მაყაშვილმა; მოხსენების შემდეგი გაიმართა კამათი. სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ფინანსიური ანგარიშები არ არის წესიერად ნაწარმოები. საჭირო ზომები არც სარევიზიო კომისიას მიუღია ანგარიშების წესიერად წარმოებისათვის. საბჭოს შემოსავალი ამ წლის იანვრამდე ძალიან უმნიშვნელო ყოფილა 1 იანვრიდან ე. ი. „მწერალთა კლუბი“ „ქიმერიონის“ გახსნის შემდეგ კი შემოსავალი გადიდებულა, მაგრამ დაწვრილებითი ანგარიში 1 იანვრიდან დღემდე საბჭოს არ წარმოუდგენია. დიდი, დაუსრულებელი კამათი გამოიწვია საერთოდ „ქიმერიონის“ საკითხმა; კამათის გაგრძელება გადაიდო შემდეგ კრებისთვის, რომელიც შესდგა გუშინ 7-საათზე „ქიმერიონში“. ამ სხდომის მოკლე ანგარიშს შემდეგ მოვათავსებთ.

„მედეა“ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით

კვირას მარტის 4-ს არტისტიულ თეატრში წარმოადგინეს სუვორინის დრამა „მედეა“.

მედეას ასრულებდა ქართულ თეატრის მშვენება ნ. ჩხეიძე.

მედეას როლი საუკეთესო განსახიერებას პოულობს მსახიობი ქალის რეპერტუარში.

მიუხედავად იმისა, რომ თვით პიესა „მედეა“ თავიდან ბოლომდე შაბლონიურ ხაზებით არის აშენებული, ნ. ჩხეიძე მაინც სძლევს ყოველივე სიყალბეს, აფექტაციას და გადადის ჰარმონიულ მეტყველებაში.

თვით მედეას როლი განირჩევა სხვა პერსონაჟებთან. მასში არის ძლიერი ადგილები. დრამატიზმი და სადაც დრამატიზმია იქ ხომ ნ. ჩხეიძე შეუდარებელია.

საკმაო იყო პირველ მოქმედებაში ნ. ჩხეიძეს ერთი სიტყვის ამოღება, რომ სწრაფი ცივი სცენა გამთბარიყო და მაყურებლის სმენა და მხედველობა მიეზიდნა.

ნამდვილი ხელოვანის ფანქარით არის მოხაზული ნ. ჩხეიძის მედეას ყოველი კონტური, ფეხის გადადგმა, გამოსვლა.

მაღალ ტრაგიულ განსახირებაში ნ. ჩხეიძის განცდა არის ნამდვილი რიტუალი. ექსპრესია და ბუნებრივი პათოსი იმდენად ძლიერია მსახიობის სულში, რომ ცხად ჰყოფს ნ. ჩხეიძის უდიდეს ნიჭს.

ფსიხიური ასახვა სახის—პლასტიური მოხაზული—აი ერთი უდიდესი ღირსება ამ მსახიობის.

კეთილშობლიური ხმა, მოდულაციებით აღსავსე გამები, გულის სიღრმიდან ამონახეთქი ტირილი თუ სიცილი—გრძნეულად აჯადოვებს მაყურებლის თვალს და გულს.

ნ. ჩხეიძემ იცის მსახიობის საიდუმლოება. ეს არის გულწრფელი ზიარება არტისტიულობის-ბუნებრიობა. მსახიობი ქალი მიდის ხოლმე იმისთანა ხაზებთან, რომელსაც ვერც ერთი ვირტუოზი-ტექნიკის მსახიობი ვერ მივა.

ჩვენ ვიტყვით, რომ ნ. ჩხეიძეს მეტად ბევრი ცვლილება დასტყობია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს რომ მსახიობის შესრულება დაქვეითებულიყოს. ნ. ჩხეიძის შემოქმედების დაქვეითება შეუძლებელია. პირიქით, უფრო მეტი დეტალებით არის შესრულებული როლი. მაგრამ ზოგიერთ სასტიკ ბუნების კანონს ვერ აღუდგებით.

თუ ჩვენ ვნანობთ რამეს ეს ესმის ხმა, რომელიც ისეთი დიადი ხმაურით აღარა სცემს, როგორც სცემდა ამ რამდენიმე წლის წინად. ესტეტიური ტკბობა კვლავინდებურად დიდია.

იაზონის უფერულ როლს ასრულებდა ბ-ნი ასაძე. ბ. ვასაძეს ეტყობა დიდათ შრომობს, მუშაობს. მას აქვს კარგი ტემპერამენტი, მაგრამ ჯერ შემუშავებული არა აქვს. მან არ იცის თავდაჭერილობა განცდის, ვნებათა-ღელვის. ხმის ფონეტიკური საშუალებებიც აქვს. ინტონაცია კი ჯერ არ არის მეტყველი მრავალფეროვან ტონალიზაციით. მომავალში უეჭველია ყოველივე ამას გაუმჯობესებს.

კარგი გონიერი მსახიობია მ. სარაული. ფილოქტეტი.) აღსანიშნავია მისი ხმა.

გვარიანი იყო ბ-ნ ყიფშიძე. (კრეონი)

ანსამბლი საერთოდ ჯერ ქართულ წარმოდგენებზე ტრადიციულია და პიესის დადგმა შაბლონიურია. თუმცა გვეძნელება რეჟისორ მ. ქორეულის საყვედური, რადგან თვით არტისტულ თეატრს არ მოეპოვება საშუალება პიესების კარგა დასადგმელად.

ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“.

გამოვიდა და იყიდება ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ საიუბილეიო ნომერი (13) მისი 10-წლის არსებობის აღსანიშნავად. ჟურნალში მოთავსებულია ივ. გომართელის, შალვა დადიანის და სხვათა წერილები, სადაც აღნიშნულია ჟურნალის ხელმძღვანელი ი. იმედაშვილის მოღვაწეობა სამწერლო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ჟურნილში მოთავსებულია აგრეთვე თითქმის ყველა მისი თანამშრომლების სურათები.

წერილი რედ. მიმართ.

გაზეთ „საქართველოს“ მე 73 ნომერში მოთავსებულია წერილები ხონის რაიონში მომქმედ ე. წ. „მუშათა კავშირის“ შესახებ. ეს უკანასკნელი ერევა მიწების განაწილების საქმეში და მესაკუთრეებს ნებას არ აძლევს კუთვნილი ნორმის ფარგლებში თავისუფლად ისარგებლონ მამულით. გაზეთი ეხება ამ შემთხვევას და მოწინავე წერილს ასე ათავებს: „არსებობს კანონი საქართველოში, თუ იგი მხოლოდ მსურველთათვის იწერება?“.

დასმულ კითხვაზე გაზეთ „საქართველოს“ მოვახსენებთ, რომ საქართველოში კანონი არსებობს და იგი სავალდებულოა ყველასათვის. გასულ თვეში მიწათ-მოქმედების სამინისტროში შემოვიდა საჩივარი დასახელებულ „მუშათა კავშირის“ მოქმედების შესახებ, რომლის შესახებ სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ დაუყონებლივ მიწერილობა გაუგზავნა ჭუთაისის სამაზრო ერობის გამგეობას და აცნობა, რომ „ნორმის ფარგლებში მესაკუთრეს არავინ შეუშალოს ხელი მამულით სარგებლობის საქმეში“.

ამ ქამათ სამინისტროს უკვე საკმაო ფაქტიური მასალები აქვს დასახელებული „კავშირის“ მოქმედების შესახებ და სათანადო ზომებიც მიღებულია კანონის დამრღვევთა წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა მოევლინონ ჩვენს რესპუბლიკას ასეთები: მარცხნიდან თუ მარჯვნიდან.

აგრარულ რეფორმათა განყოფილების გამგე დ. ჩადუნელი.

მეაბრეშუმეთა საუურადღებოდ.

ყველა მეაბრეშუმესათვის ცხადია, რომ აბრეშუმის პარკის კარგი მოსავალი მხოლოდ მაშინ შეიძლება მივიღოთ, როცა თვითონ თესლიც კარგი თვისებისაა. ამისათვის მეაბრეშუმეს უმთავრეს მიზანს შეადგენს საღი თესლის შეძენა-მოპოება. ჩვენში, სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით ეს საქმე რიგიანად არ არის დაყენებული. ამისი მოწყობა-მოგვარება შეადგენს უმთავრეს მოვალეობას, როგორც მთავრობის სპეციალურ დაწესებულების, ისე საზოგადოებრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოოპერატივებისას. დღევანდელ პირობებში სასურველია ჩვენმა მეაბრეშუმეებმა მიაქციონ ყურადღება შემდეგს:

ა) უმთავრესი ნიშანი ჭიის თესლის კარგი თვისებისა ის არის, როცა მასში სრულიად არაა პებრინის ავათმყოფობის ნასახი. ამისთანა თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს თეთრი ბანდეროლი ზედ წარწერით: „უპებრინოა“ და დაბეჭდილია ლუქით.

ბ) მეორე ხარისხის თესლი, თუმცა ცოტა პებრინიანია, მაგრამ ჭიის გამოკვებას და პარკის მოსავალს ისე არ ავნებს. ასეთ თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს ლურჯი ბანდეროლი ზედ წარწერით: „სამრეწველოა“ და ისიც დაბეჭდილია ლუქით.

პარკის კარგი მოსავლის მისაღებათ საკმარისი არ არას მარტო საღი თესლის შეძენა, საჭიროა კიდევ შემდეგი პირობების შესრულება:

ა) თესლი უნდა შეიძინოს მეაბრეშუმემ თავის დროზე—მარტსა და აპრილში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს აპრილის ბოლოსა. წელს მაგალითად, თესლის შეძენა არ უნდა გადასცილდეს პირველ მაისს და მთავრობის ახალი დადგენილებით თესლით ვაჭრობა აღნიშნულ დროის შემდეგ აკრძალულია;

ბ) მეაბრეშუმემ უნდა შეიძინოს მხოლოდ იმდენი თესლი, რამდენისათვისაც მას ექნება საყოფი თუთის (ბჟოლის) ფოთოლი და საჭიე სახლი;

გ) ექვს ან შვიდ მისხლიან კოლოფ თესლიდან გამოყვანილ ჭიების გამოსაკვებად საჭიროა 40 დიდი ანუ 60—80 საშუალო სიდიდის ხე და საჭიე სახლი, რომელშიაც დაახლოებით თავსდებოდეს 276—322 კუბიკური არშინი ჰაერი;

დ) მეაბრეშუმემ კარგად უნდა იცოდეს, რომ თუ მას აქვს საყოფი ფოთოლი და საჭიე სახლი მარტო ერთ კოლოფ თესლის ჭიისათვის მზ ის კი ორ ან სამ კოლოფ თესლს აიღებს, ამით ის ვერაფერს მოიგებს, ხშირათ შრომა ტყვილა ჩაუვლის. ასეთ შემთხვევაში მებრეშუმეს ან სულ უფუჭდება მოსავალი ან პარკი უფრო ცუდი თვისების გამოვა და ჭიებს ავადმყოფობაც უფრო ადვილად გაუჩნდება და სხვა;

ე) ერთსა და იმავე საჭიე სახლში არ შეიძლება გამოყვანა—გამოკვება ჭიების, ორი სხვა და სხვა ხარისხის და ფირმის თესლიდან, რადგანაც თუ ერთ კოლოფში საჭვო თესლია და ჭიებიც სნეულია (საქართველოში ხშირად მეაბრეშუმეები ერთსა და იმავე სახლში იჩენენ, როგორც გამოწერილ, ისე შინაური ორ მოსავლიან თესლიდან გამოყვანილ ჭიებს, რომლებსაც უმეტეს შემთხვევაში რაიმე გადამდები სენი სჭირს) ავადმყოფობა მეორე საღი თესლის ჭიებსაც გადაედება.

დასასრულ მეაბრეშუმეთა ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ წელს მეაბრეშუმეობის ნაწარმოები დიდ ფასებშია მსოფლიო ბაზარზე, მაგალითად, ფუთი ხმელი პარკი ღირს რამოდენიმე ათასი მანეთი. ეჭვს გარეშეა, რომ ნედლი პარკის ფასიც ძლიერ დიდი იქნება.

როგორც დაწვრილებით გამოირკვა, წელსაც შედარებით ცოტა აბრეშუმის თესლი დაუმზადებიათ, როგორც ჩვენში, ისე უცხოეთშიც: ოსმალო-ევროპაში, რადგანაც ცუდი მოსავლის გამო სათესლე პარკი ძლიერ ცოტა და დიდ ფასებში იშოვებოდა. აღნიშნულ მიზეზების გამო თესლის ფასებიც შედარებით დიდია: კოლოფი ცოტა საიმედო შემოწმებული თესლი ამ ჟამად უცხოეთში იყიდება 500—600 მან.

ფასები დღითი დღე მატულობს, ამისათვის ვურჩევთ მეაბრეშუმეებს დღეიდანვე დაიჭირონ თადარიგი თესლის შესაძენათ და ჩვეულებრივად ნუ უცდიან თესლის გაიაფებას, პირიქით, ის უფრო გაძვირდება, თანაც გაფუჭდება და მეაბრეშუმეს შრომა ტყუილა უბრალოდ ჩაუვლის.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაითვალისწინა რა მეაბრეშუმეობის დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა, განიზრახა ჯეროვანი დახმარება გაუწიოს მეაბრეშუმეობის განვითარება-გაუმჯობესობის საქმეს. ამ მიზნით მან დროზე შეიძინა უცხოეთში ცნობილი და საიმედო ფირმების თესლი, რომელიც უკვე შემოწმებული და ბანდეროლ შემოკრულია. ეს თესლი ამ დღეებში გადაეცემათ ადგილობრივ საზოგადო ორგანიზაციებს, და კერძო სავაჭროებს მეაბრეშუმეთათვის დასარიგებლათ. გასასყიდათ შეღავათიან პირობებში. ამასთან ერთად განზრახულია ტეხნიკური დახმარება გაუწიონ მეაბრეშუმეებს გამოცდილ სპეციალისტ-ინსტრუქტორებმა თესლის რიგიან გამოყვანისა და ჭიის მოვლის საქმეში. პარკის მოსავლის გასაღებაშიაც მთავრობა შემდეგ დახმარებას გაუწევს მეაბრეშუმეს: ნედლი პარკის ჩაბარებისას მეაბრეშუმე ღებულობს ადგილობრივ ფასებში 60 პროც. და დანარჩენ 40 პროც. მიიღებს, როცა მთავრობა ჩაიბარებს ხმელ პარკს, ასე რომ, ერთი ან ორი თვის განმავლობაში მეაბრეშუმე მიიღებს პარკის მთელ საფასურს. შემდეგ როცა მთავრობა ხმელ პარკს გაასაღებს უცხოეთში, მეაბრეშუმეს დამატებით მიეცემა წმინდა მოგებიდან 30% ორგანიზაციას, რომლის საშუალებით გატარდა ეს ოპერაცია, ეძლევა წმინდა მოგებიდან 10 %, სააბრეშუმო ფონდში გადაიდება 10% და მხოლოდ დანარჩენი 50% რჩება მთავრობას.

ასე რომ, წმინდა მოგებიდან ნახევარი (50 %) ხვდება მეაბრეშუმეობის წარმოებას და მეორე ნახევარი მიდის სახელმწიფოს ხაზინაში. გარდა ამისა მთავრობის მიერ სათანადო ზომებია მიღებული თუთის—ბჟოლის პლანტაციების გამრავლებისა, თესლის ადგილობრივ დამზადების და ძაფის ამოღება დამუშავების შემოღების და რიგიანად წარმოების საქმეში, რის განსახორციელებლად გადადებულია უკვე რამოდენიმე მილიონი მანეთი. ამნაირად, თუ ჩვენი მეაბრეშუმეები სათანადო ყურადღებით მიიღებენ ყველა ზემო აღნიშნულ რჩევა-დარიგებას, რიგიანად გამოიყენებენ მთავრობის დახმარებას და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მალე ჩვენი მეაბრეშუმეობა შეიქნება სასოფლო მეურნეობის ერთ-ერთ უმთავრეს დარგათ, როგორიც არის იაპონიაში და სხვა საუკეთესო საბრეშუმო ქვეყნებში.

მეაბრეშუმეობის ინსპექტორი საქართველოში **ი. ქუთათელაძე.**

განცხადებანი

დაიკარგა ოთხი სულის სასურსათო ბარათი № 10475 მიხეილ ვასილის ძე ჭოლაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს.
6 6 3—1

მიხეილ ალექსანდრეს ძე მატინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ბაქოს ბოქაულისაგან 1919წ. № 2749. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
637 3—1

პავლე გრიგორის ძე ულარიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ცხინვალის ერობიდან 1920 წ., სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული საავტომობილო გუნდიდან და შოფერობის მოწმობა. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 638 3—1

ვლადიმერ სტეფანეს ძე სელეცკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ჩერემისის (კამ.-პოდ. გუბ) ეკლესიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
641 3—1

დაიკარგა 6 სულის სასურსათო წიგნაკი № 21050 არტემ ოქუაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 630 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 37, ნიკოლოზ ევროვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 633 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 4510 გაცემული ტფ. ქალაქის გამგეობის სახალხო განათლების განყოფილების მიერ ანა იაკობის ასული ელშინას სახელზე. 1919 წ. 8 დეკემბერს. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
631 3—1

პავლე მაქსიმის ძე ლოპინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1907წ. № 8255, დამზღვევი საზოგადოების „როსიის“ ქალალდი მოძრავი ქონების დაზღვევის შესახებ და ვაჭრობის მოწმობა, მიღებული სავაჭრო სამრეწველო პალატიდან 9 იანვარს 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
632 3—1

ალექსანდრე ტიგრანის ძე ტარასოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული არმავირის დარაჯთა უფროსისგან № 7171 და საქართველოში წამოსვლის მოწმობა, მიცემული საქართველოს წარმომადგენლის მიერ არმავირში. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 624 3—1

სერგო ტიგრანის ძე ტარასოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა მიღებული არმავირის დარაჯთა უფროსისაგან № 748 და საქართველოში წამოსვლის მოწმობა, მიღებული საქართველოს წარმომადგენლისგან არმავირში. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
635 3—1

ევგენი მათეს ძე მოწონელიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სოფ. ღვარდიის სამმართველოდან № 25, გაუქმებულათ ჩაითვალოს.
627 3—1

დაიკარგა სუმბათ მარქარის ძი ბაღდასარიანცის სახლის 1919 წ. დავთარი, რომელიც მდებარეობს მარინის ჭუჩაზე № 9. 7 კომისარიატში. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
628 3—1

მოსე ლევანის ძე კვიტაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. მე-8 უბნის კომისარიატიდან 1919 წ. და საბარგო კვიტანცია № 11635. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 629 3—1

ტფილისის განყოფილება აზოვო-დონის კომერციული ბანკისა ამით აცხადებს, რომ მათ მიერ გაცემული კვიტანცია, ანგელ სოკრატის ძე გიზზე, № 7265|1142 1916 წელს 13 ქრისტეშობისთვეს, მიბარების და შენახვის 5 ½ % ობლიგაციების II შინაური სახელმწიფო სესხისა 1915 წლისა, ნომინალური ღირებულების მან. 60000-განცხადებულია დაკარგულათ, რისთვისაც ზევით მოხსენებული კვიტანცია ითვლება გაუქმებულათ.
536 3—3

დაიკარგა საშინაო დავთარი ეკატერინე იაგორას ასული მამაცოვის სახლის, რომელიც მდებარეობს ზორა ბაშის ქუჩაზე № 21. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 623 3—3

ვასილ ზოსიმეს ძე ტოხვაძე აცხადებს, რომ დაჰკარგა მისი და ნესტორ ვაშაკიძის სახლის დავთარი, რომელიც მდებარეობს კრწანისის ბაღებში. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
3—2 607

დაიკარგა ორი სულის სასურსათო წიგნაკი მარიამ როსტომის ასული კირვალიძის სახელზე № 2071. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
606 3—3

ისაკ მოტკოვის ძე ვიდგოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ლტოლვილის პასპორტი, რომელიც მას ჰქონდა მიცემული უმანის მეშჩანების სამმართველოდგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 276 3—3

მარია კონსტანტინეს ასული გუგუნავასი აცხადებს, რომ მას ნატანებიდან ოზურგეთისკენ მგზავრობის დროს ავაზაკებმა წაართვეს ორი ვექსილი თითო ხუთასი თუმნისა, რომელიც ემართა ქალ. ტფ. მე-8 უბნის კომისარს სიმონ ტარიელის ძე ბოლქვაძეს, რომლის თავდებია ქ. ტფ. მოვაჭრე ტიტიკო სილოვანის ძე თალაკვაძე. ორივე ვექსილზე ხელს აწერენ სიმონ ბოლქვაძე და ტ. თალაკვაძე; 2. სახელმწიფო ბანკის წიგნაკი 10000 მანათის. 3. ვადიანი პასპორტი და 4. პირადი ბარათი მოცემული ძიმითის თემიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 331 3—3

ჯარისკაცი არსენ ბესარიონის ძე არსენიძე მსახურებდა პირველ ქვეითთა პოლკში. 1918 წ. დეკემბერში გაწვეულ იქმნა სომხის ომში და მას აქეთ მისი აღარა ვიცით რა. გთხოვთ თუ ვისმეს რაიმე ცნობები მოეპოვება მასზე, შეგვატყობინოს 1-ლ ქვეითა ათასეულის შტაბში. 374 3—3

ოლღა ალექსანდრეს ასული დრუჟილოვსკისა აცხადებს, რომ მას მოპარეს უვადო პასპორტი, და ბათუმში გამგზავრების ნებართვა, მიღებული ტფ. პირველი უბნის კომისარიატიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
652 3—1

იასონ ივანეს ძე მენალარიშვილი აცხადებს, რომ მან მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, ვიღებული ლანჩხუთის ქალაქის თვითმართმელობისაგან 1918 წ. 28 მარტს № 76. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 534

ტფილისის განყოფილება აზოვო-დონის კომერციული ბანკისა ამით აცხადებს, რომ მათ მიერ გაცემული კვიტანცია ბარბალე სოკრატის ასული გიზზე, № 7266|1143 1919 წელს 13 ქრისტეშობისთვეს, მიბარების და შენახვის 5 ½ % ობლიგაციების II შინაური 1915 წლის სახელმწიფო სესხისა, ნომინალური ღირებულის 60000 მან. განცხადებულია დაკარგულათ რისთვისაც ზევით მოხსენებული კვიტანცია ითვლება გაუქმებულათ.
537 3—3

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ დავითის ძე ვაჩნაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისმა ცოლმა ვერა ანატოლის ასულმა ვაჩნაძისამ, რომელზედაც ჯვარი დაიწერა პეტროგრადის საიმპერატორო დიდი მთავრინა ელენე პავლეს ასულის კლინიკის ინსტიტუტის ეკლესიაში 31 ღვინობისთვეს 1910 წ. თავი დაანება მას 1915 წ. და უკვალოდ დაიკარგა, რის გამო აღნიშნული ნიკოლოზ ვაჩნაძე თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ვერა ანატოლის ასულის ვაჩნაძის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდისა 2 თვის განმავლობაში.
520 3—3

ისხაკ მიხეილის ძე ჩხიკვიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ექვსი თვის პასპორტი და მეტრიკული ამონაწერი. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 275 3—3

ტროფიმე კონსტანტინეს ძე ზემლიანსკიმ განაცხადა, რომ მან დაჰკარგა მისა და მისი ცოლის სახელობის მამული, რომელიც მდებარეობს ტფ. პირველ უბანში, ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ, რეესტრით № 2159. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
612 3—3

დაიკარგა ერთი სულის სასურსათო წიგნაკი № 32281 ვერა ნარეკელაშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 617 3—3

პროკოფი ეგნატეს ძე ნიკურაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა დროებითი მოწმობა, მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსისაგან 1919 წ. 14 ნოემბერს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 397 3—3

დაკარგულია აქციები ტყიბულის მთამადნეულობის საზოგადოების „ნახშირასი“ №№ 376—3769; რომელიც ეკუთნოდა შუშანიკა უკასოვნა ზურაბოვისას. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 545 3—3

დაიკარგა ხუთი სულის სასურსათო წიგნაკი № 16372 ვლადიმერ ნიკოლოზის ძის ხვედელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად
647 3—2

ალექსი ივანეს ძე იშუ აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ფეხსაცმელების წმენდის ნებართვა, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. (უფ.) 3-2

ამერიკის კომიტეტის პურის დამრიგებელ განყოფილებაში დაიკარგა ანა თარხნოვის სახლის დავთარი. გაუქმებულათ ჩითვალოს
645 3—2

სიმონ ირაკლის ძე ბერიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან მიღებული 1920 წ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 620 3—3

საქართველოს სახაზინო რკინისგზათამმართველობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ა. წ. 15 აპრილს დილის 10 საათიდან ტფილისის ცენტრალურ საწყობში გაიყიდება გაუტანელი ტვირთი და ბაგაჟი.

ტვირთი: ბაქოდან—ფოთი № 1280 რიგ. № 68. (გამგზავნელი: სავაჭრო სახლი ძმები ზურევიჩი—მიმღები: სავაჭრო სახლი ძმები ზურევიჩი). 40 ც. ბოჭკები ცარიელი წონ. 90 ფუთი, ბათუმიდან—ნავთლული № 65958 რიგ. № 488 (გამგზავნელი და მიმღები უცნობი) 7 ც. იზოლიატორები და რკინის კოჭები წონ. 29 ფ. 35 გ. ძირულიდან—ტფილისი № 117818. რიგ. № 36 (გამგზავნელი ამხანაგობა—„შრომა“—მიმღები ამხანაგობა „მომუშავე“) 1 ც. ბოჭკა ცარიელი 2 ფ. გორიდან—ტფილისი № 120742 რიგ. № 35 (გამგზავნ. ა. ჭარუმიძე მიმღები. ქარხანა „ხოშტარია“). 4 ც. რკინოულობის ნაწარმოების 6 ფ. ჩაქვიდან პიატიგორსკი № 66 რიგ. № 640 (ჩაქვის სახაზინო მამული—პიატიგორსკის სახელოსნო) 1 ც. ბამბუკის ჯოხები 6 ფ. 30 გ.

ბაგაჟი. კვიტანციით ტფილისი-ნოტანები № 93983 რიგ. № 74—4 ც.—2 ფ. 20 გ. ქუთაისიდან—ხეთი № 55990 რიგ. № 40—1 ც.—10 გ. ახალსენაკიდან—ქუთაისი № 65953 რიგი 32-1 ც—20 გ. ტფილისიდან—ფოთი № 9506 რიგ. № 39—1 ც.—15 გ. ტფილისიდან—სამტრედია № 87594 რიგ № 33—1 ც. 4 გ. ახაშიდან—ფოთი № 42657 რიგ. № 38—1 ც. 27 გ. ტფილისიდან—საჩხერეში № 95869 რიგ. № 45—1 ც. 1 ფ. 2 გ. ხაშური—ტფილისი № 50646—1ც. 3 ფ. 10 გ. კასპიდან—ტფილისი № 9121—1 ც. 38 გ. ქუთაისიდან—ტფილისი № 58973 1 ც.—10 გ. განჯიდან—ტფილისი № 919—1 ც. 1 ფ. 12 გ. ახარიდან—ტფილისი № 5028—1 ც.—1 ფ. გორიდან—ტფილისი № 84903—1 ც. 25 გ. ხაშურიდან—ტფილ. № 50741—1 ც. 5 ფ. ტყვიბულიდან—ტფილისი № 12848—2 ც. 7 ფ. 15 გ. ძირულიდან—ტფილისი № 11944 1 ც. 2 ფ. 30 გ. ბორჯომიდან—ტფილისი № 27552—1 ც. 30 გ. ერივანიდან—ტფილისი № 4156—1 ც. 12 გ. ჯაჯურიდან—ტფილისი № 8786 1 ც. 05 გ. ნიგოითი—ტფილისი № 7620—4 ც. 10 ფ. მუხიანი—ტფილისი № 2528—4 ც. 4 ფ. 10 გ. ახალსენაკი—ტფილისი № 32746—1 ც. 35 გ.

უსაბუთო ბაგაჟი: აქტით სად. ბაკურიანი № 2. 1 ც. 3 ფ. 25 გ. აქტ. სად. ბაკურიანი № 4—2 ც. 9 ფ. 21 გ. აქტ. სად. ტფილისი № 536—4 ც. 13 ფ. 3 გ. აქტ. სად. ტფილისი № 77—1 ც. 2 ფ. 10 გ. აქტ. № 406—1 ც. 5 ფ. 10 გ. აქტ. № 653—1 ც. 5 ფ. 18 გ. აქტ. № 655—1 ც. 4 ფ. 35 გ. აქტ. № 100—1 ც. 12 ფ. აქტ. № 99 1 ც. 2 ფ. 10 გ. აქტ. № 105—1 ც. 1 ფ. 35 გ. აქტ. № 103—1 ც. 10 გ. აქტ. № 654—1 ც. 6 ფ. 10 გ. აქტ. 656—1 ც. 1 ფ. 15 გ. აქტით №№ 58, 59, 60, 62, 63, 64, 65, 66—8 ც. 4 ფ.

ხელმეორედ გაყიდვა დანიშნულია მეორე დღეს ა. წ. 17 აპრილს. 395 3—3

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. **გრიგოლ მაჭავარიანი**